ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 79

13 მარტი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (#11-01200723204; 11-01200713667) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-032007278-03; 15-03200729-03)

**დღის წესრიგი დამტკიცდა.**

კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

ინფრატსრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში ხდება 900 000 ლარის მუხლობრივი ცვლილება. სამსახური აღნიშნავს, რომ თბილისის მასშტაბით გზების ორმოული შეკეთების სამუშაოების შესრულება აჭარბებს პირველ კვარტალში დაგეგმილ სამუშაოებს. წარმოდგენილია ასევე გამგეობებისათვის მიკუთვნებული პროგრამების კვარტალური ცვლილება. კერძოდ: საბურთალოს რაიონს „გზების მოვლა შეკეთების“ პროგრამაში პირველ კვარტალში ემატება 7500, მირიან მეფის ქ#77-ის მიმდებარედ გზის ორმოული შეკეთებისათვის. ასევე „სხვა სოცილური დახმარებების„ პროგრამაში პირველ კვარტალში ემატებათ 100 000 ლარი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. „სხვა სოციალური დახმარებების“ პროგრამაში 100 000 ლარი ემატება ასევე გლდანის რაიონის გამგეობას.

„გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში, პირველ კვარტალში ემატებათ გლდანის რაიონს -398 000ლარი; ნაძალადევის რაიონს- 300 000 ლარი, ვაკის რაიონს- 435 000ლარი, ხოლო სამგორის რაიონს, მრავალწლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე, თვალჭრელიძის ქუჩაზე წარმოეშვათ მთელი რიგი პრობლემები, რის გამოც ვერ ხერხდება სამუშაოებას შესრულება. გამომდინარე აქედან

გამგეობა ითხოვს „გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში 1 500 000 ლარის პირველიდან მესამე კვარტალში გადატანას.

„კეთილმოწყობის სამუშაოების“ პროგრამაში პირველ კვარტალში ემატებათ თანხები: გლდანის რაიონს- 175 000 ლარი, ნაძალადევის რაიონს- 167 000 ლარი, ისნის რაიონს -160 400 ლარი, სამგორის რაიონს- 50 000ლარი.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამაში“ , პირველ კვარტალში ემატება ნაძალადევის რაიონს- 59100ლარი, ისნის რაიონს- 170 000 ლარი. გამგეობები აღნიშნავენ, რომ პროგრამებით გათვალისიწინებული სამუშაოების შესრულება მიმდინარეობს ინტენსიურტად და პირველ კვარტალში გათვალისიწნებული თანხები საკმარისი არ არის.

გარდა ამისა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მოთხოვნით, ბენეფიციართა ზრდიდან გამომდინარე იზრდება პირველი კვარტლის თანხები პროგრამებში „კომუნალური სიბსიდირება“ – 196 000 ლარით და „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება“ - 37 000 ლარით. წარმოდგენიულია ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულის მოთხოვნა პირველ კვარატალში საქონელი და მომსახურების მუხლში 7 0 000 ლარის დამატებასთან დაკავშირებით.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით განმარტა ყველა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

**მომხრე- 6**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობები და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურები ითხოვენ ცვლილებას მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში და დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილების და გადასახდელების ცვლილების ხარჯზე, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების** შესაბამისად **პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია